ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1528753

ნომერი: AR1256185

თარიღი : 07.10.2014

გაცემის თარიღი : 13.10.2014

გაცნობის თარიღი : 15.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კვალი , N 9-11 , გამზირი რუსთაველი , N 29 , ქუჩა თაბუკაშვილი (ძნელაძე/პეტრიწი) N48, ქუჩა მ. მესხი N6 , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ძნელაძე) N50-52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კობახიძე პ/ნ 01024035335
- ურბნისის ქ. #7

ორგანიზაცია:
- შპს "დაბი გრუპ ჯორჯია" კოდი: 204537411

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, (სექტორი–მთაწმინდა) კვალის ქ. N 9-11 , რუსთაველის გამზ. N 29 , თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხის ქ. N6 , რ. თაბუკაშვილის (ძნელაძე) ქ. N50-52–ში არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო ბანერის მოწყობის საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის მოწყობაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ ,,საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან NN 882014189589 - 11/04/2014 წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, კვალის ქ. N 9-11 , რუსთაველის გამზ. N 29 , თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხის ქ. N6 , რ. თაბუკაშვილის (ძნელაძე) ქ. N50-52–ში არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო ბანერის განთავსების შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge